

სალოგოზრო და ვერელო

1921 წელს

27

03610
საქართველო
1991

№ 74

(11707)

ვერელო
საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 ჰაბ.

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა გაიმართება 1991 წლის 28 ივნისს 11 საათზე, უზენაესი

საბჭოს სხდომათა დარბაზში.
უზენაესი საბჭოს დეპუტატთა რეგისტრაცია დაიწყება 9 საათსა და 30 წუთიდან.

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის პრეზიდენტს ბატონ მ. ს. გორბაჩოვს

იპატივით ვარ მოგმართოთ იმის გამო, რომ საქართველოს რესპუბლიკის უარსებროდ არა-ნორმალური ვითარება შეუქმნეს მეზობელმა სსრ კავშირის რეგიონებში. რესპუბლიკისათვის გათვალისწინებული სახალხო სამეურნეო ტვირთით, სოფლის მეურნეობის პროდუქტებით, ჯვების პროდუქტებით დატვირთული ყველა სატრანსპორტო საშუალებას უკანონოდ აკავებენ კრანოდარისა და სტავროპოლის მხარეთა ტერორიზმა. ხდება შემთხვევები, როდესაც ტვირთს, როგორც წესი, ან სხვაგან ატყვევებენ, ან ასაღებენ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. აღვსოდებთ ხელისუფალთა ასეთ მოქმედებას ვერ მივჩნევთ მხოლოდ თვითნებობად და კანონიერების უხრეს დარღვევად. ეს საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის, მისი კონსტიტუციური უფლებების ხელყოფაა, რაც

აღბათ ცენტრის სახელით ხდება. უფრო მეტიც, საკავშირო უწყებები და სამსახურები უარს ამბობენ გამოუყოფნა რესპუბლიკის სატრანსპორტო საშუალებანი გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთსა და დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებში ამჟამად დაგროვილი სამედიცინო მოწყობილობისა და მედიკამენტების გადმოსაზიდვად, ესოდენ რომ სჭირდება მიწისქვეშისა და დაზარალებულ საქართველოს მოსახლეობას, რაც არაადასრულებული და ანტიუმანური ქმედება და არსებითად ქართველი ხალხის მიმართ გენოციდის გამოვლენებაა.

ბატონო პრეზიდენტო!
თქვენს ოფიციალურ გამოსვლებსა და წერილებში, ჩემთან საუბრებში ქადაგებდით ეროვნული რესპუბლიკებისადმი ცივილიზებული დამოკიდებულებას, ხაზგასმით აღნიშნავდით, რომ უარსებროდ

დიდ პატივს სცემთ ქართველ ხალხს, შემფოთებთ გამოთქვამლით მიწისქვეშისა და სხვა სტიქიური უბედურებებისაგან დაზარალებული ჩვენი რეგიონების მოსახლეობის მდგომარეობასთან დაკავშირებით. ეს უფლებას მაძლევს მოგმართოთ დათხოვნილი თხოვნით დაუყოვნებლივ განუხრთ მთელი საქართველო კონფლიქტური სიტუაცია, რასაც გაუთვალისწინებელი ძიმე შედეგები შეიძლება მოჰყვეს. თუ არადა, ყველა საფუძველი გვექნება ვიფიქროთ, რომ საქართველოს უნდა აღდგება მის თავისებრილი უბედურების მიუხედავად ზოგიერთდება უმჯობესი ეკონომიკური ბლოკად.

პატივისცემით
საქართველოს რესპუბლიკის
პრეზიდენტი
მ. გამსახურდია.

პარკის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შედეგები

საბჭოთა სიაში ირიცხებოდა 228.749 ამომრჩეველი. კენჭისყრას მონაწილეობდა 137.817 კაცი, ანუ 60,2 პროცენტი. სხვები ვანაწილდა შემდეგნაირად: საარჩევნო ბლოკმა „აპარამ“ მიიღო 24.992 ხმა — 19,31 პროცენტი; აჭარის რეგიონალურმა ორგანიზაციამ „მოგვალმა“ მიიღო — 59.949 — 47,51 პროცენტი; საქართველოს დამოუკიდებელი ომპარტის აჭარის საოლქო ორ-

განიზაციამ — 22.180 — 17,57 პროცენტი; საარჩევნო ბლოკმა „ეკონომიკურმა აღორძინებამ“ — 7.855 — 6,19 პროცენტი; სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების აჭარის რეგიონალურმა ორგანიზაციამ — 4.375 — 3,46 პროცენტი; სრულიად საქართველოს მშენებლობისა და თავისუფლების პარტიის ბათუმის საქალაქო, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ჭედის, შუა-

ხევისა და ხულოს რაიონულმა ორგანიზაციებმა — 6.835 — 5,46 პროცენტი.
ორმოციდან 24 საარჩევნო ოლქში არჩევნები გაიმართება განმეორებით, 11 ოლქში მოეწოება კენჭისყრის მეორე ტური.
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატები არჩეული არიან ხუთ ოლქში.

თამაზ გენაქიაძე,
საქინფორმის კორ.

სიტყვა სხვა, საქმე სხვა

ინფორმაცია მიუხედავად

საბჭოთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტის გ. იანაევის განცხადებით, მ. გორბაჩოვი უცხოეთში ყოფნისას არ მიაშინებდა ძლიერი მუშტის პოლიტიკას საქართველოს, ლატვიის, ლიბიის, ესტონეთის, თუ სხვა ნებისმიერი რესპუბლიკების მიმართ, რომლებიც იღვწიან დამოუკიდებლობისათვის. იანაევის განმარტებით, საქართველომ, ლატვიამ, ლიბიამ, ესტონეთმა დაიმსახურეს მათი პრობლემების სეროინუალად განხილვა. ამავე დროს საბჭოთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა იანაევმა ხაზგა-

სმით აღნიშნა, რომ საქართველო, ლატვია, ლიბია, ესტონეთი იძულებით არ იქნებიან შეყვანილი განაბლებულ საბჭოთა კავშირში და, რომ საქართველოს, ლატვიის, ლიბიის, ესტონეთის ხალხებს ღრმა პატივისცემით მოეკიდებიან.

გერმანულ თურნალ „შპიგელიდან“ თარგმნა
ნუგზარ შარინამ.
საქინფორმში

პროინოკა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დანიშნა: დეპუტატ ჰელმუტ ჰელმუტ — საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსად.
მურთაზ ალექსანდრეძე ძე მნათობიშვილი — საქართველოს რესპუბლიკის საპარტისა და ტურიზმის მინისტრის პირველ მოადგილედ.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ გაათავისუფლა პალატი ივანე ძე ქაძაია. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსის მოვალეობისაგან.
საქინფორმში

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება

პრეზიდენტის ბრძანების წამსახურის უმაღლესი უსახაბე

შეიქმნას პრეზიდენტის პრესის სამსახური და მის ხელმძღვანელად დაინიშნოს არჩილ არჩილის ძე შიკაპაძე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.
1991 წლის 24 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა გურჯაანის რაიონის პრეფიქტად დაინიშნა მურთა ნიკოლოზის ძე თიბიანური

საერთაშორისო უსუფუფა

● იუგოსლავიის რესპუბლიკების — ხორვატიისა და სლოვენის პარლამენტებმა მიიღეს დამოუკიდებლობის დეკლარაციები, რომლის თანახმად ეს ორი რესპუბლიკა გამოცხადდა დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოებად.

იუგოსლავიის ფედერალურმა ხელისუფლებამ მაშინვე უარი განაცხადა მათი დამოუკიდებლობის ცნობაზე და დაავალა არმიას და პოლიციას, მიიღონ ზომები, რათა თავიდან აიცილონ ფედერაციის დაშლა და მისი საზღვრების შეცვლა.

ხორვატიის ოფიციალური პრეტა თქმით, მათი გადაწყვეტილება ითვალისწინებს არა სასწრაფოდ გამოყოფას ფედერაციიდან, არამედ ნელ-ნელა, თანდათანობით გამოსვლას მისი შემადგენლობიდან.

სლოვენიის პრეზიდენტმა მ. კუჩანმა თქვა, რომ რესპუბლიკა შეეცდება გახდეს გაეროს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი და მოუწოდდა უცხოეთის ქვეყნებს, სწონ სლოვენის დამოუკიდებელი სახელმწიფო.

რაც შეეხება უცხოეთის რეაქციას, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მარგარეტ ტატულიერიმა სერბო-ხორვატიის უფროსს ამ მოვლენებს და განაცხადა, რომ შეერთებული შტატები მხარს უჭერს პრობლემის გადაჭრას მშვიდობიანი მოლაპარაკების და დიალოგის გზით.

ამასობაში იუგოსლავიის რესპუბლიკა მკვედრიად ასევე არ გამოიხატა დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ მხარდასმულად.

● ლატვიის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვიტალის ლანდსბერგის საფრანგეთში იმყოფება ათდღიანი ვიზიტით. სტრასბურგში ყურნალისტებთან საუბრისას მან მოუწოდა ევროპის ქვეყნებს, არ შემოიფარგლონ მხოლოდ დეკლარაციებით და კონკრეტული დახმავება გაუწიონ ბალტიის რესპუბლიკებს.

სტრასბურგში ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმად ვილინუსი და სტრასბურგი დამოუკიდებელი ქალაქები გახდნენ.

დღეს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, საბჭოთა მთავრობის პროტესტის მიუხედავად, განიხილავს ბალტიისპირეთის პრობლემას.

● პრეზიდენტმა გორბაჩოვმა კონსულტაციები ჩაატარა პარკადის უნივერსიტეტის პროფესორ გ. ელისონთან და საბჭოთა ეკონომისტი გ. იავონისკისთან საბჭოთა ეკონომიკური რეფორმების საკითხზე. ამ ორმა ეკონომისტმა აქტიური მონაწილეობა მიიღო რეფორმების შემუშავებაში, რომელიც გორბაჩოვმა „დიდი შედეგების“ ლიდერებს უნდა წარუდგინოს ლონდონში.

პროექტი ითვალისწინებს რადიკალურ ზომებს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლად — დასავლეთის მხარეიდან დახმარების გაწევის სანაცვლოდ.

თუმცა საბჭოთა პრეზიდენტის წარმომადგენელმა ვ. იგნატენკომ განაცხადა, რომ მ. გორბაჩოვი ლონდონში წარმოადგენს რეფორმების საკუთარ პროექტს, რომელიც შეეცდება შეათავსოს რადიკალური პარკადის გეგმა უფრო კონსერვატორულ, ვ. პავლოვის მთავრობის ანტიკრიზისულ პროგრამასთან.

● საბჭოთა პოლიტიკური მოღვაწეთა ერთი ჯგუფი განიხილავს ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნის გეგმებს.

დასავლეთის კორესპონდენტთა ცნობით, ამასთან დაკავშირებით მოწვეულ თათბირს ესწრებოდნენ ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ე. შევარდნაძე, საბჭოთა პრეზიდენტის პრევიცი ე. იავონსკი, ცნობილი ეკონომისტი ს. შატალინი, მოსკოვის მერი გ. პოპოვი და ლენინგრადის მერი ა. სობჩაკი.

ჯგუფმა უკვე მოამზადა ახალი პარტიის მანიფესტის პროექტი, რომელიც, ალბათ, ყოველკვირეულ „მოსკოვსკიე ნოვოსტა“-ში გამოქვეყნდება.

ინონა თვავტორაშვილი

კოოპერატივების, სააქციო საზოგადოებათა, ბირჟების, საბროკერო კანტორების, სახელმწიფო, კერძო და მცირე საწარმოთა, ასოციაციების და კონცერნების ხელმძღვანელთა, მენეჯერთა და კომერსანტთა საყურადღებოდ თქვენთვის და მხოლოდ თქვენთვის

შეუცვლელი სამაგიდო წიგნი „ტიპიურ ხელშეკრულებათა კრებული“ (რუსულ ენაზე) გამოსცა მცირე ტირაჟით სამეცნიერო-საწარმოო საგარეო ეკონომიკურმა ასოციაციამ „რიკოტმა“.

წიგნში შესულია თითქმის ყველა სახის სამეურნეო: საბირჟო, საბროკერო, საბაჟო. ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების, კერძო პირებთან ურთიერთობის, სამეცნიერო, აუქციონთა, სალიცენზიო, საშუამავლო და სხვა საქმიანობისათვის საჭირო ხელშეკრულებათა ტიპური მოდელები.

ამ კრებულის მფლობელი ხვალისდელ დღეს იმედიანად შესცქერის. წიგნი იყიდება კომერციული ფირმა „უნივერსალის“ საფირმო მაღაზიაში კოსტავას ქ. №37-ში.

მასტრასენსთა ხელშეკრულების იმპორტი...

ბუნება მბრძანებელია, იმავითი მაღლით აუცილებლად ადამიანს, ჩვენი ვალია ღვთის მომადლებული ეს წყალობა უწყობდეს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელი სიცოცხლე და ღვებობა.

ამიტომ, რომ ექსტრასენსთა ბუნებით ნაბობებ სიკეთისაკენ ასე უშურველად მიიღვიან ადამიანები, რადგან ჯანმრთელობა ყოველთვის გადსწონის ათასი შხის ელვარებას...

ახლაზრდა, უხვი ბიონერების მქონე ექსტრასენსები:
ირმა და ბონა ნაღობრამპები ქალაქში დაბრუნებისთანავე ჩადგენ ადამიანთა ჯანმრთელობის სასახურში და საკმაო პოპულარობა მოიპოვეს.
და-მბა ნაღობრამპებს აქვთ იმავითი უნარი ავადმყოფთათვის უტყუარი და ზუსტი დიაგნოზის დასმისა.

და-მბა ნაღობრამპები კურნავენ შემდეგი სახის დაავადებებს:
 სისხლძარღვოვან დისტონიას, პიპერტონიას, თავის ტკივილებს, მხედველობის დაზიანებას, ალერგიას, უძილობას, ღვიძლის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებებს, გინეკოლოგიურ დაავადებებს და სხვა.

ირმა და ბონა ნაღობრამპები ავადმყოფებს იღებენ საქველმოქმედო სამედიცინო გაერთიანება „ბერია 1991“-ში ყოველდღე 17⁰⁰ საათიდან 20⁰⁰ საათამდე. შაბათ-კვირას 11⁰⁰ საათიდან 15⁰⁰ საათამდე.

მისამართი: წინამძღვრიშვილის ქ. №126 (ყოფილი კლარა ცეტკინის ქუჩა)

სამეცნიერო-სამრეწველო საწარმო „ეგრისი“

ამიერკავკასიის რეგიონში ერთადერთი საწარმოა, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს იაპონური ფირმა „კენონის“ ტიპის ფაქსიმილური აპარატების დაყენება-გაშვება, საგარანტიო მომსახურება, გარანტიის შემდგომი შეკეთება მხოლოდ საფირმო კომპონენტების ბაზაზე.

ყველა დინტერესებული დაწესებულება-ორგანიზაცია, კოოპერატივი, ერთობლივი საწარმო, რომელსაც გააჩნია „კენონის“ ფირმის ფაქსიმილური აპარატები, შეუძლიათ მიმართონ სამეცნიერო-სამრეწველო საწარმო „ეგრისს“ მისამართზე:

ქ. თბილისი, 380086, ჭიჭიას ქ. №16 ტელეფონი: 31-34-73; 31-30-67.

ტელეტაიპი: 212596; ტელექსი: 212260.

ყოველდღე 9⁰⁰ საათიდან 17⁰⁰ საათამდე, დასვენების დღეების გარდა.

კოოპერატივი „აბიტურიენტი“ — ფირმა Konica IO-Bix გათავაზობთ ქსეროასლების გადამღებ მანქანებს, ტელეფაქსებს.

იაპონური ფირმა Konica IO-Bix-ის პროდუქცია გამოირჩევა განსაკუთრებული ხარისხით.

კოოპერატივი „აბიტურიენტი“ და ფირმა Konica IO-Bix-ის ერთობლივი **სარემონტო სახელმძღვანელო** აწარმოებს ზემოთ აღნიშნული აპარატურის საგარანტიო რემონტს, სათადარიგო ნაწილებს და სათანადო მასალების რეალიზაციას.

ჩვენი მისამართია: 380079, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი 25.

მუშაობის საათები:
 16⁰⁰ საათიდან 20⁰⁰ საათამდე
 ყოველდღე, კვირის გარდა.

„აბიტურიენტის“ გამგეობა.

იყიდება

ავტომობილი კაზ-4540 (კოლხიდა) მისაბმელით.

ტრაქტორი ტ-150 მისაბმელით.

ტრაქტორი ტ-16 — თვით-დამტვირთი-თვითმცლელი.

ცნობებისათვის დარეკეთ:
39-02-98

ვიზების სათარგმნელად

მიმართეთ სერვის ბიუროს ვიზების თარგმნა და დამოწმება ზღბა ერთ დღეში, ასევე შეგიძლიათ შეიძინოთ გამგზავრებისათვის საჭირო ანკეტები.

მისამართი: **ონიაშვილის ქ. №11** (გაგარინის მოედანთან).

ტელ: 38-50-78

— თქვენ გინდათ თავი გააჩიროთ პაპანაქება სიცხეს?
 — თქვენ გნებავთ იყოთ თბილისში და თავი იგრძნოთ კურორტზე?
 — სუფთა ჰაერი, ზღვა, ტყე-პარკი, კაფე, სასადილო, ბარი, სასტუმრო და ყველაფერი ის, რაც საჭიროა ადამიანის სულიერი და ფიზიკური დასვენებისათვის.

გეპატრეებთ ტურისტული სასტუმროს „თბილისის ზღვის“ დირექცია, სადაც შეგიძლიათ შეიძინოთ **10-15 დღიანი** საოჯახო საგზურები, როგორც ნაღ ანგარიშზე, ასევე გადარიცხვით. (შესაძლებლობის მიხედვით შეიძლება გაგრძელდეს საგზურით სარგებლობის ვადა-სასტუმრო ახალი გარემონტებულია და კომფორტაბელურია. იქარეთ ტურისტული სასტუმროს საგზურების შესაძენად, დარჩენილია სულ **100 ადგილი.**

ცნობებისა და საქმიანი წინადადებებისათვის შეგიძლიათ მიმართდეთ ტურისტული სასტუმროს „თბილისის ზღვის“ დირექციაში, ან დარეკოთ **61-75-41, 61-75-29, 61-75-40, 61-75-37.**

თანხა ჩაგერიცხვებით ანგარიშის წარმოდგენისთანავე. ჩვენი ანგარიშსწორების ანგარიშია **№000609316** მრეწველმეცნიერების ღრმადელის რაიონის განყოფილება.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

380122, თბილისი, ძმების 7, მე-12 საართული

ტელ: 98 30 68

კალასი kalasi

ფირმა „კალასი“

ორგანიზაციებს, წარმოება-დანეხერეულეებს და კოოპერატივებს დაეხმარება შათი ნაწარმის სახელმძღვანელო გაცანასა და გაყიდვაში, ერთობლივი ხაზარმოს შესაქმნელად უცხოელი პარტნიორის მოძებნაში.

ფირმა „**მშენიშვი**“ შრომითი ხელშეკრულებით იწვევს: თუმარისტებს, პაროდისტებს, სატირიკოსებს, მეკაფიეებს, მეშაირებს, კომიკოსებს, ვანკლიორებს, როგორც პროფესიონალებს, ასევე არაპროფესიონალებს.

მისამართი: **ღერმონტოვის ქუჩა №19. ტელეფონი: 98-20-76.**

ყოველდღე 9⁰⁰-18⁰⁰ საათებში, შაბათ-კვირის გარდა.

იყიდება „ვილისი“ გაზ-69,

ორ კარანი, 1972 წლის გამოშვება.

ტელეფონები:
 29-13-17,
 66-62-01.

ქალბატონებო და ბატონებო!

თუ გსურთ ოჯახის შექმნა, თქვენ დაგებმარებათ ფირმა „**ლუმინიშვი**“ გაცნობის სამსახური.

თავდაპირველად ფირმა დაიცავს მომსახურების ანონიმურობას, ხოლო ვარიანტების შერჩევის შემდეგ მოვხებდეთ მხარეების შეხვედრას სასურველ ვითარებაში. გელით მისამართზე: **ღერმონტოვის ქუჩა №19** (თავისუფლების მოედანთან) ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა **10⁰⁰** საათიდან **17⁰⁰** საათამდე. **ტელეფონი: 98-20-76.**

გთხოვთ თან იქონიოთ პასპორტი და ბოლო დროს გადაღებული სურათი. გისურვებთ გაბედნიერებას ძვირფასო მეგობრებო, გელით.

სალოგარია ქვერეული

Общественно-политическая газета

ტელეფონები: მისაღები — 98-97-31;
 პასუხისმგებელი მდივანი — 98-31-56;
 წერილების განყოფილება — 98-06-49.

გაზეთი გაშვების კვირისაში საზღვარსაშე საშუაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.

რედაქციაში შემოსული მისაღები ავტორებს უკან არ უბრუნდება.

საქართველოს ეურნალ-გაზეთების გამოცემლობა „სამშობლოს“ ტბამბა თბილისი, 8, კოსტავას 14, იბეჭდება ოლხეტურა წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის 29.

1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.

НАШ ИНДЕКС 66400

რედაქტორი

ვიკტორია ბარბაქაძე

რედაქციის მისამართი
 ქ. თბილისი — 380096
 8, კოსტავას ქ. № 14.